ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 154

ოთხშაბათი, 21 ივლისი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 154

ოთხშაბათი, 21 ივლისი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართულის დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

1—15 ენკენისთვემდე გამართავს **გამოსაცდელ წარმოდგენებს** იმათთვის, რომელთაც სურთ ქართულ სცენაზე მოღვაწეობა, ამისათვის საზ. გამგეობა სთხოვს მათ განაცხადონ თავისი სურვილი 1 ენკენისთვემდე. შემდეგ გამოცდისა გამგეობა მოწონებულთ მოიწვევს თავის დასში დამდეგის სეზონისათვის. (5—3)

ქართულმა დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ **რეპერტუარის განსაახლებლად** დანიშნა პიესებისათვის

## სამი პრემია: 120, 80 და 50 მანეთი

სოლო გადმოკეთებულ პიესებისათვის: **50, 30 და 20** მან.

ამისათვის მოიწვევს ქართველ მწერლებს წარმოადგინონ თავიანთი დრამატიული ნაწარმოებნი, რომლებიც განხილული იქმნებიან გამგეობისა და მის მიერ მოწვეულის პირების თანადასწრებით და საუკეთესო პიესებს დაენიშნება ღირსების დაგვარად ზემოხსენებული პრემია.

პიესები უნდა გამოიგზავნოს გამგეობის სახელზე არა უგვიანეს 15 ენკენისთვემდე და ავტორებისაგან ხელმოუწერელნი უნდა იყვნენ, ხოლო სახელი და გვარი ცალკე დაბეჭდილს კონვერტში უნდა იყოს მოხსენებული და ეს კონვერტი პიესასთან ერთად წარმოდგენილი. (6—4)

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ახალი ამბავი

*** ალავერდის ეპისკოპოსი ყოვლად უსამღვდელოესი კირიონი, გუშინ, 20 ივლისს, საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრა დუშეთს, სადაც, ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორის მინდობილებით, უნდა დაათვალიეროს ბოდბის წმ. გიორგის საჯვარე, რომელიც დუშეთის შტატის ეკკლესიასთან ზედმიწერილად ითვლება, ხოლო დღეს-კი სომეხთ გრიგორიანთა საეკკლესიო უწყებას მიუთვისებია.

*** ქართლ-კახეთის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭომ განსაკუთრებულს კომისიას მიანდო ამ ეპარქიის სამრევლო სკოლებისათვის ახალის სამოსწავლო გეგმის შემუშავება და სამოსწავლო მასალის განაწილება. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ქართლ-კახეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველი ნ. ტატიშვილი, ხოლო წევრებად კომისიაში—მღვდლები: დიდუბის ეკკლესიისა კ. ცინცაძე და მისიონერთა მე-2 ეკკლესიისა ს. გოროდცევი და ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ილ. ფერაძე.

*** ქართლ-კახეთის ეპარქიის ზედამხედველმა ნ. ტატიშვილმა შუამდგომლობა აღძრა უწმ. სინოდის სასწავლებელთა საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას ტირძნისის მეორე-კლასიან სკოლასთან სამეურნეო განყოფილების დასაარსებლად 12,000 მან. ამ სკოლას, რომელიც დაარსებულია გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ი. დ. სულხანიშვილის მიერ, საგნად აქვს მასწავლებელთა მომზადება წერა-კითხვის სკოლათათვის. წელს ამ სკოლაში პირველად დაამთავრა სწავლა 5 კაცმა, რომელთაც კიდეც მიიღეს წერა-კითხვის სკოლის მასწავლებლის წოდება. ეს ყმაწვილები დაესწრნენ საზაფხულო საპედაგოგიო კურსებს ტფილისში, რომლებიც ამას წინად დამთავრდა და ჯეროვანი ყურადღებაც დაიმსახურეს. ორმა მათგანმა ჩინებულად მისცა საცდელი გაკვეთილი.

*** მკურნალებმა მ. ზ. ავთანდილოვმა, ს. ა. ვოინომ, ნ. ვ. პარიისკიმ და ა. რ. ფიშერმა დასამტკიცებლად წარუდგინეს სათანადო მთავრობას საქირურგიო და ქალის ავადმყოფობათა სამკურნალოს წესდების პროექტი. ეს სამკურნალო უნდა დაარსებულ იქმნას ქ. ტფილისში.

*** ხმოსანთა კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ნიხრის დაწესება, ლაპარაკი აღძრა პურისა და ხორცის ნიხრის შეცვლის შესახებ. კომისიამ გარდასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას ამ საგნის შესახებ გამგეობის წინაშე.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა წინადადება მისცა პოლიციის ყველა ბოქაულებს, დაათვალიერეთ სამის დღის განმავლობაში მკურნალთა დახმარებით ყველა ის დუქნები, სადაც „კვასი“ მზადდება, და დათვალიერების შედეგი მაუწყეთო.

*** პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ა. ს. ერმოლოვი აგვისტოს დამდეგს გამოემგზავრება კავკასიაში სამსახურის გამო.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ჟურნალში ამ ჟამად იბეჭდება პატივცემულის გულაკის წერილი. ამ თავისს წერილში ბ-ნი გულაკი შეეხება ქართველების ძველ დიდ კულტურულ ცხოვრებას და ამბობს, რომ ქართველნი ძველად იმოდენად ძლიერნი ყოფილან განათლებით, რომ ქართულ სიტყვებს თვით „ოდისეიაშიაც-კი“ დაუკავებია ადგილიო. ამ სიტყვებსაც ასახელებს წერილის ავტორი.

*** როგორც ისმის, რამდენსამე ქართველ ვაჭარს განზრახვა აქვთ დაარსონ სავაჭრო-სამრეწველო ბანკი.

*** რამდენმამე სცენის მოყვარე ქალმა და ვაჟმა სურვილი განაცხადეს მონაწილეობა მიიღონ საცდელ წარმოდგენებში, რომლებსაც ქართული დრამატიული საზოგადოება გაჰმართავს არტისტთა დასის განსაახლებლად.

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გაიცეს კერძო კაცებზედ ახალ-ახალი ადგილები შავის ზღვის პირად, ოზურგეთის მახლობლად, საუკეთესო ჯიშის მცენარეთა და ხეხილის გასაშენებლად.

*** გაზეთების სიტყვით, პეტერბურგში, სამთო ინჟინერთა საზოგადოებაში, ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას კავკასიაში ამ საზოგადოების განყოფილება ადგილობრივის სამთო მრეწველობის გასაძლიერებლად,

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს დადგენილება ტფილისის ქალაქის სადგურის გაუქმების შესახებ, როგორც „ტფ. ფ.“-ს აუწყებენ უკვე დაუმტკიცებია რკინის გზების მთავარ-სამმართველოს.

*** გრ. ლორის-მელიქოვის მემკვიდრეთა ვექილმა შეატყობინა ქა-

## ფელეტონი

### კაცობრიობის გაჩენა ქვეყნად და მისი მოდგმებად დანაწილება

მეცნიერება ამბობს, რომ დასაწყისში დედამიწა წარმოადგენდა უსიცოცხლო ნივთიერებას; დედა მიწაზედ რომ უსიცოცხლო ხანა იყო ეს იმით სჩანს, რომ ჩვენს მიწას თორმეტ ათასჯერ მეტი სიცხოველე ჰქონდა, ვიდრე ადუღებულს წყალს. ამ გვარის საშინელ სიცხის გამო, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო სიცოცხლის რაიმე ნიშნები ქვეყნად. ყველა ნივთიერება ორთქლად იყო ქცეული. შემდეგ-კი, როდესაც დედამიწის სიცხოველემ იკლო, ზოგიერთ ნივთიერებათა ქიმიურად შეერთება შესაძლოთ შეიქმნა, ამ გვარად წარმოსდგა წყალი, მარილი და სხვა. ბოლოს დედამიწის სიცხოველე ისე განელდა, რომ მას გაუკეთდა კანი, ხოლო დასასრულზედ აღმოცენდა სიცოცხლე.

რაც შეეხება იმას, თუ პირველად სად გაჩნდა სიცოცხლე, მეცნიერება ასახელებს იმ ადგილებად პოლიარულ ქვეყნებს: როდესაც დედამიწის სიცხოველემ იწყო განელება, ყველაზედ ადრე პოლიარულ ქვეყნებში შეიქმნა შესაძლო სიცოცხლე. იმის შესახებ,—პირველად რა გაჩნდა, მცენარე თუ სულიერი არსება, მეცნიერება დაბეჯითებით ვერას ამბობს. ზოგი იმას ამბობს, რომ პირველად უნდა გაჩენილიყო მცენარე და შემდეგ-კი სულიერი არსებაო; ზოგიერთის აზრით-კი, მცენარე და სულიერი არსება ერთსა და იმავე დროს გაჩნდა. მცენარისა და პირველ სულიერ არსების გაჩენიდგან ქვეყნად განვლო განუზომელმა დიდმა დრომ, ვიდრე ადამიანი გაჩნდებოდა. ამ დროს განმავლობაში დედა მიწაზედ მრავალი სხვა-და-სხვა გეოლოგიური ცვლილება მოხდა.

სად გაჩნდა ჩვენი პირველი წინაპარი? გარდაწყვეტით ამისი თქმა ძნელია. დარვინის აზრით, შესაძლოა, რომ ადამიანი აფრიკაში გაჩენილიყოს პირველად თუმცა-კი, დასძენს აქვე დარვინი სრულიად უსარგებლოა ამ გვარის საგნის განხილვაო.

ადამიანის აგებულება იმ გვარია, ჟელესის აზრით, რომ იგი პირველად უნდა გაჩენილიყო თბილ ვაკიან ადგილას, სადაც უნდა ყოფილიყო სხვა-და-სხვა გვარ მცენარისა, ნადირისა და თევზის დიდი სიმდიდრე; ამიტომ აზიის მატერიკი თავისი უზარ-მაზარი ვაკე ადგილებით უნდა ჩაითვალოს იმ პირველ სამშობლოდ, სადაც გაჩნდა ადამიანის წინაპარი. ეს ადგილები სრულიად საკმაო იყო, რომ ადამიანთ შესძლებოდათ აქ გამრავლება და სულიერად და ფიზიკურად განვითარება. შემდეგ-კი, როდესაც საჭირო შეიქმნა გარდასახლება სხვა ადგილებში, პირველად ადამიანმა აფრიკისკენ გაიწია. რამდენადაც ადამიანი თანდათან მიიწევდა დასავლეთისკენ, იმდენად მის ბუნებრივ აგებულებას დიდი ცვლილება დაეტყო, რომელიც გამოწვეული იქმნა ახალი სამშობლოს გარემოებათა წყალობით; რამდენადაც ჩრდილო დასავლეთისკენ—ევროპისკენ მიდიოდა, იმდენად სულ სხვა ვითარებაში იმყოფებოდა, მაშასადამე მისს აგებულებასაც სხვა-და სხვა ცვლილება ეძლეოდა, ასე უნდა წარმომდგარიყო სხვა-და-სხვა მოდგმა. როდესაც ადამიანთა რიცხვი ძალიან გამრავლდა, დედა მიწის ერთი კუთხე აღარ დარჩენილა, რომ ადამიანს ფეხი არ შეედგას.

დღეს კაცობრიობა განიყოფება რამდენსამე რასსად ანუ მოდგმად, რომელთა შორის ვხედავთ ისეთს განსხვავებას გარეგან აგებულებისა, რომ არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ ამას ყურადღება. ამ განსხვავებაზედაა დამყარებული აზრი, რომელიც ეხლაც მრავალთა შორის ჰმეფობს, რომ კაცობრიობას არა აქვს ერთი საერთო შთამომავლობა, არამედ ყოველ მოდგმას თავისი განსაკუთრებული დასაწყისი და შთამომავლობა ჰქონდაო. მაშასადამე, არავითარი ერთობა არა აქვთ შთამომავლობის მხრივ თეთრ კავკასიელს, შავ ზანგს, მოყვითალო მონგოლს, სპილენძის ფერს ამერიკელს და მუქ წაბლის ფერს მალაიელს. თუმცა ამ გვარის აზრისა არიან ჯერ კიდევ ზოგიერთნი მეცნიერნი, მაგრამ უმეტესმა და მასთან მეცნიერთა საუკეთესო ნაწილმა ეს აზრი უარჰყო.

კოლმანი ამბობს: მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ კაცობრიობას ერთი საერთო შთამომავლობა აქვს, და იგი მხოლოდ რამდენსამე სახედ განიყოფება. განსხვავება თეთრისა, ზანგისა და ყვითელს შუა იმდენად დიდი არ არის, რომ შეგვეძლოს იმით ხელმძღვანელობა, ამასთანავე კოლმანს მოჰყავს დასამტკიცებელი საბუთებიც თავისის აზრისა. დარვინის მოძღვრება იმაზედაა დაფუძნებული, რომ სულიერ არსებათა განვითარება, მათ შორის ადამიანისაც, წარმოსდგა მხოლოდ ერთის დასაწყისიდგან; ვირხივის აზრით, ფოხტსა და სხვებს არა ჰქონდათ საკმარისი დამტკიცებანი, როცა ამბობდნენ, რომ ადამიანთა ჯგუფი წარმოსდგა სხვა და სხვა ძირიდგან. შესაძლოა განაგრძობს ვირხივი, ადამიანთა საერთო შთამომავლობის საფუძველში იყოს რაიმე ტრადიციონური, სასტიმენტალური აზრი, მაგრამ რაც უნდა იყოს, როდესაც

ლაქის გამგეობას: ქალაქის მილებში წყლის მოსპობის გამო მტკვრის წყალს ვყიდულობ შენობის ასაგებად და ეს ხარჯი გთხოვთ თქვენ იკისროთო („კავკ.")

*** ქიზიყი. აქ ჩამოვიდა ფოტოგრაფი ვასილ როინაშვილი, რომელიც ყველგან თანაგრძნობით მიიღო ინტელიგენციამ, როგორც განსვენებულ ა. ს. როინაშვილის ახლო ნათესავი და შვილივით აღზრდილი. რადგანაც ბ-ნს ვ. როინაშვილს განუზრახავს შემოიაროს საქართველოს კუთხეები და გადიღოს ღირს სამახსოვრო ისტორიული ნანგრევები და ციხე კოშკ ტაძარნი, ამ აზრით ვ. როინაშვილი ქვემო-მაჩხაანის ინტელიგენციასთან ერთად იყო ჰოეთის სალა-ტინის, მაღალ-ციცაბო მთაში, სადაც გადიღო ჯერ არვისაგან გადაღებული, დიდად შესანიშნავი ციხეები თამარ მეფისა და სხვა ტაძარნი. ვ. როინაშვილი უხატავს უსასყიდლოდ მაჩხაანის სახალხო თეატრის სცენას მშვენიერს ფარდის ქიზიყის ცხოვრებიდამ აღებული სურათებით. სულით და გულით ვისურვებთ რომ აწ განსვენებულ ა. ს. როინაშვილის აღზრდილს ვ. როინაშვილს ასცხადებოდეს ყველა ის კეთილი განზრახვა რომელნიც ჩვენ მოვისმინეთ მისგან.

*** მთიულები, (კავკავის მაზრა). მთებში წელს მოსავალი როგორც ჭირნახულის, ისე ბალახის სწორეთ ენით გამოუთქმელია. ბარის ოსებშიაც მშვენიერი მოსავალია ყველაფრის, ხოლოთ ზოგან სეტყვამ სალიან დააზარალა, თიბათვის პირველ რიცხვებში სოფელი ნოვო-ურუხი სეტყვამ და ნიაღვარმა სულ გაანადგურა; მუშა ხალხს მინდორში ურმები და გუთნები დასტაცა. მრავალი შინაური საქონელი დაიღუპა, ზოგს სახლებიც დაუქცია. რადგან ეს ამბავი დღისით მოხდა ადამიანი არსად დაურჩვია, თუმცა მოტაცებით-კი ორი ყმაწვილი მოიტაცა ნიაღვარმა, მაგრამ ამ სოფლის დიაკვანმა ნიკოლოზ მარკოზოვმა ორივე ყმაწვილი გადაარჩინა დაღუპვას.

*** გლდანი. ამ დღეებში ცოფიანმა მგელმა რამდენიმე კაცი დაჰკბინა აქ და ერთი მათგანი ძლიერ დააშავა—თვალი და ცალი უბა მთლად მოაგდებინა საწყალს. მგლის მოსაკლავად სწრაფი ღონისძიება იქმნა მიღებული მამასახლისის მიერ, მაგრამ ჯერ მგლის კვალიც-კი ვერსად იპოვნეს.

აქეთ მეტად დიდი სიცხეებია; ვენახები მთლად გაფუჭდა უწვიმობისაგან.

*** გორის მაზრის სოფ. ხიდისთავში ჩეითალმა აღმოაჩინა 7 სული ჭირიანი სხვილ-ფეხი საქონელი. ამ შემთხვევის გამო, საბეითალო სამმართველოს განკარგულებით კარანტინი უნდა შეიკრას სოფ. ხიდისთავში, ხოლო ჭირიანი საქონელი დახოცილ იქმნას; — დაზარალებულთ სასყიდელი უნდა მიეცემო.

*** აგჭალაში ქალაქის წყლის მილებთან ამ ჟამად დასდგეს ამერიკის ფირმის ორთქლის საქაჩავი, რომელიც მოქმედებას დაიწყებდა გუშინდღიდგან. ამ საქაჩავს დიდ იმედებს ამყარებენ, რადგან, მას, როგორც ისმის, საათში 20,000 ვედრო წყალი შეუძლია მოაწოდოს ქალაქს. ნაპირის გასამაგრებელ კედლის აშენების საქმე, საადმინისტრაციო კომისიის შემოწმებით, მარჯვედ მიდის. წყლის მილები გუშინდღიდგან წესიერად დაიწყებდნენ მოქმედებას. 18 ივლისიდგან წყალმა შესამჩნევად იმატა ქალაქის მილებში.

*** საზოგადო საბანაო, რომელიც წყლის განსატდელისაგან დამსხნდ საზოგადოების გამგეობამ გაჰმართა მტკვარზედ, მდ. ვერის შესართავთან, გაიხსნება ხვალ, 22 ივლისს.

## წერილი ბაკურციხიდგან

(სიღნაღის მაზრა)

11 ივლისს სოფ. ბაკურციხეში კრება ჰქონდათ ბაკურციხელ, კარდანახელ და კოლაგელ თავად ვაჩნაძეებს. კრების საგანს შეადგენდა—რიგიანად მოეწყოთ საერთო გაუყოფელი ტყის სარგებლობა. ხსენებულ ვაჩნაძეებს აქვთ მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს 30 ათას დესეტინამდე ტყე, რომელიც იმ თავიდგან დღემდის მათს სადავიდარაბო საგანს შეადგენს. ეს საკვირველიც არ არის, რადგან არც ერთმა მონაწილემ არ იცის, ვის რამდენი ეკუთვნის, ამიტომ ერთი-ერთმანეთის ჯიბრით სადაც მოჰხვდებათ და ვისაც როგორაც ჰსურს, იმდენს სჭრის და ჰკაფავს. თავიანთ საჭიროების გარდა, ზოგიერთი მონაწილე ჩალის ფასად ჰყიდის ბილეთებს გარეშე კაცებზედაც და უწყალოდ აკაფინებს ტყეს. ზოგიერთებმა ესეც-კი აღარ იკმარეს და საერთო ტყეში თათრები და ოსებიც კი ჩაასახლეს მონაწილეების დაუკითხავად. ბევრჯელ განიძრახა თითო-ოროლა გულშემატკივარმა, როგორმე შეეკრათ ხსენებული ტყე და ზომიერად და თანაბრად ესარგებლნა ყველას, მაგრამ დღემდის ყოველგვარმა მეცადინეობამ ტყუილად ჩაიარა. ეხლაც შეადგინა ზოგიერთებმა პროექტი ხელშეკრულობისა, თუ როგორ უნდა ისარგებლონ ხსენებული ტყით. ეს პროექტი წარმოუდგინეს საზოგადოებას განსახილველად 11 ივლისს. ამ დღეს სულ 40 მონაწილე იყო შეკრებილი. აქვე მოვიყვანთ ხსენებულ ხელშეკრულობის პროექტის ზოგიერთ ადგილს:

მონაწილეებმა უნდა აირჩიონ სამი სანდო კაცი, რომელთაც უნდა მიენდოთ საზოგადო ტყის თვალ-ყურის გდება და შემოსავალ-გასავლის ანგარიშის წარმოება. მათ ეყოლებათ თანაშემწეებად 6 კაცი, რომელთაც ტყის მცველობა უნდა იკისრონ. ეს უკანასკნელნი თვალ-ყურს დაიჭერენ იმ უმთავრეს ფონებზედ, რომლებსაც ვერ აშორდებიან, ვისაც ტყიდგან ურმით ტვირთი მიაქვს. ამ 6 ტყის მცველისათვის და სხვა წვრილმან ხარჯად უნდა გადაიდოს ყოველ წლობით ტყის შემოსავლიდამ 1300 მანეთი. თითოეულ მონაწილეს შეუძლიან მხოლოდ თავისის საჭიროებისათვის სამყოფი ხე-ტყის მოჭრა და გამოტანა და არა მეტისა. ამ პროექტში მოყვანილია ყოველგვარ ტყის მასალის—შეშის, ფიჩხის და სხ. ფასები, რამდენიც უნდა გადიხადონ ხე-ტყის მყიდველებმა; აღნიშნულია აგრეთვე საბალახოს ქირა—რომელ პირუტყვზე რამდენი უნდა გადაჰხდეს პატრონს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ წინად ვისაც რამდენი ჰსურდა, იმდენს ართმევდა საქონლის პატრონს, რის გამო არა ერთხელ მომხდარა დიდი შფოთი და სისხლის ღვრაც-კი.

ჩვენ ამ ჟამად არ შევუდგებით დაწვრილებით განხილვას, თუ რა და რა ღირსება აქვს ამ ხელშეკრულობის პროექტს, ანუ რა ნაკლი. რომ იმას მრავალი ნაკლულევანება აქვს და შევსება-შესწორება ეჭირვება, ეს ცხადათა სჩანს, თუგინდ იქიდგანაც, რომ იმაში არსად არის ნათქვამი, თუ რომელ მხრიდგან უნდა მოსჭრან ხე-ტყე, ანუ შეშა-ფიჩხი და რომელი უნდა შეასვენონ. ვისაც არ უნდა დაღუპვა და ამოგდება ტყისა, უსათუოთ რიგ-რიგათ უნდა ხმარობდეს ტყეს, ე. ი. ჯერ რომ ერთ მხარეს დაუწყებს ჭრას, მეორე მხარე უნდა იზრდებოდეს, შემდეგ ამ მხარეს დაუწყებს ჭრას და პირველი უნდა იზრდებოდეს და სხ. თუ ასე არ დაუწყებენ თავადი ვაჩნაძეები თავიანთ ტყეს სარგებლობას, ეს იმასვე დაემსგავსება, რასაც აქამდისა ვჩივოდით და ვწუწუნებდით. ამ ნაკლის შევსება ძნელი არ არის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ხელშეკრულობას ჩქარა შევსებულ-შესწორებულს ვნახავთ.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ დამსწრეთაგან 37—38 კაცმა ქართულის მეტი სხვა ენა არ იცოდა და თხოულობდნენ, ქართულათ ილაპარაკეთო. მაგრამ 2—3 კაცი სულ რუსულად ლაპარაკობდა, თუმცა უმეტესობას მათი ლაპარაკისა არა გაეგებოდა-რა. ამ გარემოების ბრალი იყო, რომ იმ დღეს ზოგიერთმა დამსწრეთაგანმა სრულიად ვერავითარი მონაწილეობა ვერ მიიღო სჯა-ბაასში და კრება ისე დაიშალა, რომ ზოგს არც-კი მოუწერია ხელი პირობის ქაღალდზე.

კახეთში საზოგადოთ ყველგან საშინელი გვალვაა. ყველაფერზედ ცუდათ იმოქმედა ამ პაპანაქება სიცხემ, ვენახებს აქა-იქ ნაცარი გამოაჩნდა.

ბაკურციხელი.

## ფარმაცევტთა კრება.

—

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამა მდგომარე წლის დეკემბერში მოხდება მოსკოვში სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კრება. კრება დაიწყება 1899 წლის დეკემბერს და გასტანს 1900 წლის 5 იანვრამდე. ყველა ფარმაცევტმა, ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ამ კრებაზედ, უნდა შეიტანოს 15 მანეთი. იგი წევრად იქმნება ჩათვლილი და მიიღებს ბილეთს. ყველა წევრები უსასყიდლოდ მიიღებენ აგრეთვე წიგნებს, სადაც კრების მუშაობა იქმნება დაბეჭდილი. მოხსენებანი სხვა-და-სხვა საგნების შესახებ უნდა გაიგზავნოს 1 სექტემბრამდე, ხოლო ყოველგვარი სამეცნიერო ცნობა კრებისათვის საჭირო—1 ოქტომბრამდე. მოხსენებები და ცნობები უნდა გაეგზავნოს საორგანიზაციო ბიუროს (Москва, Мясницкая, д. № 57, кв. 23. ამ ადრესის გარდა წერილს უნდა წააწერონ: „Къ III Фарицевтическому съѣзду 1899 года), რომლის გამგედაც ვ. ფერრეინია, ხოლო მდივნად ივ. ტუეშელაშვილი. აქვე ვბეჭდავთ პროგრამას იმ საგნებისას, რომლებიც ფარმაცევტთა კრებამ უნდა განიხილოს.

1, სამეცნიერო მოხსენებანი და ცნობანი ფარმაციისა, ფარმაკოგნოზიის და სხვა იმ საგნების შესახებ, რომელთაც საფარმაცევტო სპეციალობასთან კავშირი აქვს.

2, რა ზომების მიღებაა საჭირო ფარმაცევტთა რიცხვის გასამრავლებლად.

3, ფარმაცევტთა საზოგადო და სპეციალურ განათლების გაუმჯობესება იმ გვარად, რომ ეს განათლება აკმაყოფილებდეს საფარმაცევტო მეცნიერებისა და პრაქტიკის მოთხოვნილებათ.

4. რა ზომები უნდა იქმნას მიღებული, რათა ბოლო მოეღოს წამლების მომზადებას აფთიაქის გარდა სხვაგან და ამ წამლების გასაღებას.

5, რა მდგომარეობაშია საათფთიაქო საქმე საერობო, საზოგადო და კერძო სამკურნალოებში.

6. ნება უნდა მიეცეთ თუ არა ფარმაცევტებს მონაწილეობა მიიღონ სასანიტარო-საჭიგიენო გამოკვლევებში.

7. როგორ უნდა მოეწყოს მთელს იმპერიაში საფარმაცევტო საქმე.

სასურველია, ქართველმა ფარმაცევტებმა, რომელთა რიცხვი კარგა დიდია, ამ კრებაზედ სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ და ან დაესწრნენ კრე-

---

ადამიანთა ისტორიას თვალს გადავავლებ ხოლმე, ვრწმუნდები, რომ ჩვენ ყველანი და-ძმანი ვართ. კიუვიემ სთქვა, შემიძლიანო მხოლოდ ერთის ძვლის წყალობით გავიგო რომელს ცხოველს და მასთან რომელს გვარს ეკუთვნის ეს ძვალი; ეს იმიტომ, რომ ყოველი ძვალი შეთანაბრებულია დანარჩენ ძვლებთან. და ერთის ძვლის შემწეობით ჩვენ სხვა ძვლების გარეგნობის აღდგენა შეგვიძლიან; ამან მაიძულა მე უარმეყო ადამიანთა სხვა და სხვაობა შთამომავლობისა, რადგან არ ვიცით არც ერთი ტომი, რომლის ერთის ძვლით შესაძლო იყოს გაგება რომელ კაცობრიობის სახეს ეკუთვნის იგი. ფონ-ბერის აზრით ადამიანთა დანაწილება მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს და გამოწვეულია იმ გრძნობით, რომ ზანგი არ არის ღირსი ევროპიელის ადამიანის უფლებისა.

იმ ომის დროს, რომელიც გაიმართა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის შტატებს შორის, ამ საგანმა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ყველამ იცის, თუ როგორ სტანჯავდნენ და რა სასტიკად ეპყრობოდნენ ამერიკის პლანტატორები თავიანთ მონებს—ზანგებს. თავისის სვინდისის წინაშე რომ გაემართლებინათ ცოტად მაინც თავი, ისინი ამ ტკიცებდნენ, რომ კაცობრიობას ერთგვარი შთამომავლობა არა აქვს, რომ ზანგი და ევროპიელი სულ სხვა და სხვა ძირიდგან წარმოსდგათ; ზანგი კი, იმათის აზრით, უფრო მდაბალის შთამომავლობისა იყო, ამიტომ იგი ღირსი არ იყო ადამიანურის ყურადღებისა. როდესაც ერთი ხალხი სჩაგრავს მეორეს, მჩაგვრელი ყოველ ღონის ძიებას ჰხმარობს, რომ დაჩაგრული ყოველ მხრივ ცუდათ, უნიჭოდ და უზნეოთ წარმოადგინოს და ამითი თავისი თავი გაამართლოს.

არ შეგვიძლიან იმის განმარტება თუ როდის მოხდა ადამიანთა მოდგმებად დაყოფა. ეგვიპტე ყველაზედ უძველესს ნაშთებს გვაძლევს, რომელიც ჰმოწმობს ადამიანის განუზომელ სიძველეს. ეგვიპტელ თავადის უნახის ,არწერაში მოხსენებულნი არიან Nabsi—ზანგები. ეს წარწერა შეთხზულია სამასი ათასის წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე. აქედგან სჩანს, რომ კაცობრიობა მაშინ უკვე განიყოფებოდა მოდგმებად. ზანგები თურმე მაშინ ჰმსახურებდნენ ეგვიპტის ჯარში. თიბელ მეფეთა საფლავებზედ ფერადის წამლებით არის დახატული სხვა-და-სხვა გვარ ადამიანთა სახენი, რომლებითაც ეგვიპტელებს უნდა აღენიშნათ მათი წარმოდგენით ოთხი მოდგმა. ცოტა დაკვირვების შემდეგ თქვენ იცნობთ: ეგვიპტელს, პალესტინელს —ებრაელს, ზანგსა და ლივიელს. მთელი ისტორიული ხანა უნდა ჩაითვალოს უძველესად, იმის წინ-კი სდევს განუზომელი ხანა, რომლის განმავლობაშიაც სწარმოებდა ადამიანთა გამრავლება და მოდგმებად დანაწილება. განსაკუთრებული სურათი ყოველის მოდგმისა, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, დამოკიდებულია იმ ადგილის ვითარებათაგან, სადაც ადამიანი სცხოვრობს.

ძველი ეგვიპტე და ბაბილონი ჰმოწმობს, რომ 5000 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე ადამიანმა უკვე მიაღწია უმაღლესს გონებრივს განვითარებას. იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყანა ჯერ კიდევ ველური ხალხით იყო დასახლებული, ეგვიპტეში კი შემუშავებული ჰქონდათ თეორიგლითური წერა; იცოდნენ საუცხოვოდ მიწის მოვლა და შემუშავება. ყველამ კარგად იცის რამდენად იყვნენ ეგვიპტელნი დახელოვნებულნი ხუროთ-მოძღვრებაში, ვისაც-კი ეგიპტელთა დიდებულ პირამიდების სახელი გაუგონია; იცოდნენ რკინისა, ბრინჯაოსა ოქროსა და ვერცხლის შემუშავება. სახელმწიფოს წეს-წყობილება ფრიად რთული და მასთან განწესრიგებული ჰქონდათ. მთელი სახელმწიფო ორ უმთავრეს ნაწილად ჰქონდათ გაყოფილი—სასულიერო და საერო წოდებად. ყველა ეს მოწმობს თუ რამდენი ხანი უნდა გასულიყო, რომ 5,000 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე ეს კულტურა დამყარებულიყო ეგვიპტეში მეოთხე დინასტიის დროს ეგვიპტეში. კულტურამ იმ გვარ განვითარებას მიაღწია, რომ მაშინდელი ეგვიპტელი სრულიად დაკმაყოფილდა თვისის წარმატებით და, მისის აზრით, მეტი წინმსვლელობა სრულიად შეუძლებელი და მასთან უსაჭირო იყო.

ბაბილონებსაც დარჩათ მრავალი ისტორიული ნაშთი, რომელიც ჰმოწმობს იმათს დიდს გონებრივს განვითარებას: ჰქონდათ ლურსმენი წერა, რომელიც შემდეგ ასირიელთ გადასცეს. მათი კანონდებულება ისეთი ვრცელი და განვითარებული იყო, რომ დედაკაცის კუთვნილებასაც-კი შეეხებოდა; კანონი ჯარიმას ახდევინებდა იმათ, ვინც სასტიკად ეპყრობოდა თავისს მონას! იყვნენ კარგი ვარსკვლავთ-მრიცხველნი, მათ დაუდეს საფუძველი ჩვენს ასტრონომიას. როდესაც ადამიანი დაუკვირდება იმათს ისტორიას, გონებრივს განვითარებასა და კულტურას, დარწმუნდება, რომ იმათი ჭკუა-გონება იმ გვარად მუშაობდა, როგორც ჩვენი. ამ გვარ განვითარების მისაღწევად საჭირო იყო მხოლოდ ადამიანის ბუნებრივი აგებულება, რომელიც მრავალ დროთა განმავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზას, ან რომელიმე საგნების შესახებ მოხსენებანი გაეგზავნონ.

## რუსეთი

— საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს შეუდგეს მოძრავის საგუბერნიო საპედაგოგიო კურსების დაარსების საქმის განხილვას. ეს კურსები განზრახულია მხოლოდ იმ მასწავლებელ კაცთა და ქალთათვის, რომელთაც არ დაუმთავრებიათ სპეციალური საპედაგოგიო სასწავლებლები.

— ამ ბოლო დროს აზიის რუსეთს მრავალნი უცხო ქვეყნის ფირმის წარმომადგენელნი ეტანებიან ახლად აღმოჩენილ მადნების ადგილობრივ გასაცნობად.

— განზრახვა აქვთ, რომ მომავალ ზამთარში დააარსონ საერო განათლების სამინისტროში კომისია, რომელსაც მიენდობა ყოველ-მხრივ შეიმუშაოს საზოგადო განათლების გამავრცელებელ საშუალო სასწავლებელთა გაუმჯობესების საქმე.

— საერო განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა სასულიერო მთავრობას და ფინანსთა, სასჯულო საქმეთა და საშინაო საქმეთა სამინისტროებს, რომ მათ ნება დართონ სამეცნიერო აკადემიას განიხილოს ახალის სტილის (კალენდრის) შემოღების პირობები და წელთ-აღრიცხვის შეცვლის მოსალოდნელი გავლენა ვაჭრობასა-მრეწველობასა, მიწად მოქმედებასა და ყოფა-ცხოვრების სხვა მხარეებზედ.

— ზოგიერთს გუბერნიაში, ადგილობრივ ერობათა თაოსნობით, გადაწყვეტილია განსაკუთრებულ სამეურნეო საბჭოთა დაარსება. საბჭოებში მონაწილეობას მიიღებენ ერობის აგრონომები და დაბალ სამეურნეო სკოლების მასწავლებლები.

— სასულიერო აკადემიებისა, სემინარიებისა, სასწავლებლების და მასწავლებელთა შესანახად და სასწავლებლებისათვის შენობათა ასაგებად უწმ. სინოდის-მიერ გამოანგარიშებულია 6,477,839 მან.

— გზათა და ფინანსთა სამინისტროებმა დაამტკიცეს პირდაპირი მიმოსვლის გამართვა შუა-აზიისა და ხმელთა შუა ზღვის ნავთ-სადგურთა შორის.

— უწმ. სინოდმა განმარტა, რომ შემწეობის აღმოჩენა სამრევლო და წერა-კითხვის სკოლებისათვის შეიძლება საეკკლესიო თანხებიდგან იმავე წესით და იმავე ზომით, რა წესით და რა ზომითაც ეკკლესიის მნათეთ შეუძლიათ ფულის დახარჯვა საეკკლესიო საქმეებისათვის.

— როგორც ისმის, ვარშავის პოლიტეხნიკუმის საძირკველი ჩაიყრება ამ მოკლე ხანში, სახელდობრ იმ დროს, როცა ფინანსთა მინისტრი ს. ი. ვიტტე ვარშავაში იქნება.

— როგორც „რიგის უწყება"-ს შეუტყვია, მომავალ წელს სემინარიელთა მიღება იურიევის უნივერსიტეტში შემცირდება. საკონკურსო გამოცდას მიქცეული ექმნება განსაკუთრებული ყურადღება, და მიღების საქმე ისე მოეწყობა, რომ სემინარიელთა რიცხვი არ აღემატება 5%-ს მოსწავლეთა საზოგადო რიცხვისას.

— ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა შეიტყო-რა, რომ ქ. ლოდზში სააქციონერო საზოგადოების ლ. ალარტისა და ამხ. ქარხანაში ნებადაურთველად მიღებულ იქმნენ გერმანელი ოსტატები, რომელთაც არ იციან სახელმწიფო და ადგილობრივი ენები, განკარგულება მოახდინა, რომ ეს ოსტატები დათხოვნილ იქმნან ქარხნიდგან, ხოლო ქარხნის პატრონი-კი დაჯარიმებულ იქმნას 300 მანეთით.

— რადგან რუსეთის თამბაქოსა და პაპიროსებს ამ ჟამად საზღვარ-გარეთ დიდი გასავალი აქვს, ამის გამო რუსეთის რამდენიმე მსხვილ მექარხნეს გადაუწყვეტია გახსნან საზღვარ-გარეთის უდიდეს ქალაქებში რუსეთის თამბაქოს ნაწარმოების საწყობები.

## უცხოეთი

**ავსტრია.** იმპერატორი ფრანც-იოსები, დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ, ამ დღეებში სრულიად განიკურნა და, ასე წარმოიდგინეთ, ჯიხვების სანადიროთაც-კი წავიდა 10 ეკლის იშლში. მხცოვანმა იმპერატორმა ძლიერ გააკვირვა მხლებლები, ისე მარჯვედ იღებდა ნიშანში ნადირს და ისე დიდხანს ინადირა დაუღალავად. იმას გამოტეხის წელებზე წასვლას ურჩევდნენ ექიმები, მაგრამ გადაჭრილი უარი განაცხადა; იგი წყლები მარტო მოხუცებულებისათვის არის კარგიო,—ბრძანა. იმპერატორმა გრაფი გოლუხოვსკი (ავსტრო-უნგრეთის გარეშე საქმეთა მინისტრი) მიიწვია იშლში რამდენიმე დღით, როცა უკანასკნელი საფრანგეთიდგან დაბრუნდება. ამბობენ, რომ იმპერატორს სურს სახელმწიფოს შინაურ საქმეების შესახებ მოელაპარაკოს მასო.

—

**სერბია.** მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფმა, პროგრესიულ დასის მოთავემ ნოვაკოვიჩმა, რომელიც ან ჟამად სერბიის ელჩად არის კონსტანტინოპოლში, თხოვნა მიართვა მთავრობას, სამსახურიდგან დამითხოვეთო. ასეთი თხოვნის საბუთად ასახელებენ ნოვაკოვიჩის მეგობრების დატუსაღებას, რომლებზედაც მთავრობას ეჭვი მიუტანია, რომ მილანის წინააღმდეგ შეთქმულობაში ერივნენო. ნოვაკოვიჩის გადადგომას სამსახურიდგან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სერბიისათვის, რადგან პროგრესიულ დასში ის მოადგილეა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწის განსვენებულ გარაშნინისა და დიდი სახელიც აქვს მოპოვებული სერბიაში. ალექსანდრე მეფეს ჯერ არ შეუწყნარებია ნოვაკოვიჩის თხოვნა.

— ამ დღეებში ხმა გავრცელდა, რომ ალექსანდრე მეფემ რიბარაცს სთხოვა ახალი სამინისტროს შედგენაო. სერბიის გაზეთების სიტყვით, ეს ამბავი ნამდვილია. ვლადან გეორგიევიჩს თითონვე სურს სამსახურს თავი დაანებოს ეხლავე, სანამ სამხედრო სასამართლო მილანის წინააღმდეგ შეთქმულთა განსამართლებას შეუდგებოდეს. სამინისტრო იქნება უეჭველად პასუხის მგებელი, რაც უკვე მოიმოქმედა და აწი რასაც მოიმოქმედებს მილანი,—ამბობენ ხსენებული გაზეთები. აი ამისთვის უნდა გეორგიევიჩს ჩქარა მოშორდეს თავისს თანამდებობას და მასთან ერთად სხვებიც არიან მოწადინებული გაქცევასო. ის დიდი მოხარული იქნება, ვინმე რომ გამოჩნდებოდეს ისეთი, რომელიც იკისრებდეს ეხლანდელ აწეწილ საქმეში პასუხის მგებლობასო. რიბარაცის გარდა ავაკუმოვიჩისათვისაც უთხოვნია მეფეს კაბინეტის შედგენა, ამასთანავე რისტიჩი და ყიავანოვიჩიც მოუწვევია სათათბიროდ, მაგრამ ვერც ერთს ლიბერალს ვერ გაუბედნია მინისტრობა იკისროს, ვიდრე სერბიის საქმეებს ხელმძღვანელობს მილანი, რომლის ყურმოჭრილ ყმებად უნდა გახდნენ მინისტრები. ამას წინად მილანს ეთქვა ადვოკატთა დეპუტაციისათვის, რომ ისეთს სამინისტროზე ლაპარაკიც არა მსურს, რომელიც რომელსამე დასს ეკუთვნოდესო; ასეთს მთავრობას მე არაოდეს არ შევიწყნარებ და მის წინააღმდეგ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებო. ერთი სიტყვით, მილანი იმ აზრის არის, რომ არავითარი პოლიტიკური დასი არ არსებობდეს სერბიაში და ყველა სერბიელი, და მათ შორის, სამინისტროს წევრნიც, მისი ყურ-მოჭრილი მონა იყოს.

—

**იაპონია და ჩინეთი.** გაზეთების სიტყვით, ორ იაპონელ ოფიცერს დაუთვალიერებია ამ დღეებში ჩინეთის ციხე-სიმაგრეები და აგრეთვე შან-ხაიკვანის მეციხოვნე ჯარი, რომელიც 12,000 კაცისაგან შესდგება. ამ გარემოებას ძლიერ დიდს პოლიტიკურ მნიშვნელობას აწერენ გაზეთები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ უკანასკნელ ომის შემდეგ, იაპონია მუდამ იმის ცდაშია, როგორმე დაუახლოვდეს ჩინეთსო. სხვებზედ უფრო ინგლისის გაზეთები ადევნებენ თვალ-ყურს ჩინეთ-იაპონიის ერთმანეთთან დაახლოვებას. „Times"-ის პეკინელი კორესპონდენტი სწერს, რომ იაპონიის გავლენა ჩინეთში თანდათან მატულობსო და ორივ სახელმწიფო, რაც დღე გადის, უფრო უახლოვდებიან ერთი მეორესო. როგორც იგივე კორესპონდენტი ამბობს, ჩინეთს ორი დესპანი გაუგზავნია ტოკიოში, ვითომ სავაჭრო საქმეების შესახებ, მაგრამ ნამდვილად-კი მინდობილი ჰქონიათ გამოარკვიონ იაპონიის მთავრობასთან ერთად პირობანი ჩინეთისა და იაპონიას შორის კავშირის შესახებ. ამავე დესპანებისათვის მეირფასი საჩუქრები გაუტანებია ჩინეთის მთავრობას იაპონიაში. ამ დესპანების გაგზავნის წინააღმდეგნი ყოფილან ცუნგ ლი-იამენი და ლი ხუნგ-ჩანი. რუსეთის სალჩო დიდის ინტერესით ადევნებს თურმე თვალ-ყურს ამ დესპანთა მოქმედებას. პეკინში კარგი ამბავი მისულა ტოკიოდგან მოლაპარაკების შესახებ, მაგრამ მაინც არა სჯერათ, რომ ჯერ კავშირი იყოს შეკრული.

—

**შეერთებული შტატები.** შეერთებულ შტატების ახალი სამხედრო მინისტრი—ელიუ რუტი ნიუიორკის ერთი საუკეთესო ადვოკატთაგანი ყოფილა, რომელიც აგრეთვე პოლიტიკურ საქმეებშიაც მუდამ ერეოდა. მინისტრობა გენერალ გრინს უნდოდა, მაგრამ მაკ-კინლეიმ რუტი ამჯობინა მას, როგორც კარგი იურისტი და საკონსტიტუციო კანონების მცოდნე, რაიცა ძლიერ საჭიროა სააახლოშინო პოლიტიკის მიერ გამოწვეულ საგნების გარდასაწყვეტად. რუტის მეგობრები ამბობენ, რომ ის მეტად ნიჭიერი და ენერგიის მქონე კაცია. სამხედრო მინისტრის უპირველეს საგანს შეადგენს ამ ჟამად,—ფილიპინელები ან დიპლომატიურის საშუალებით ანუ ძალით დაამშვიდოს. ამერიკაში იმ აზრის არიან, რომ გენერალმა ოტისმა კარგი შემთხვევა დაჰკარგა სრულიად მოესპო ფილიპინებზე ამბოხებაო. ამბობენ,—ყველა ამერიკელი მხარს მისცემს რუტსო, თუ ახალ ლონისძიებას იხმარს ფილიპეს არხიპელაგზე მეამბოხეთა დასამშვიდებლად, რასაც ასე მოუთმენლად მოელიან ამერიკაშიო.

—

**გერმანია.** ნემეცთა პარლამენტი სოციალ დემოკრატ პრეზიდენტის თავმჯდომარეობით—ეს პირველი ამბავია გერმანიის პოლიტიკურ ისტორიაში. სწორედ ასეთ შემთხვევას მოელიან ამ დღეებში ბავარიაში, სადაც რამდენიმე სხდომა გაიმართება პალატის უძველესის წევრის სოციალ-დემოკრატის ლეგენშტეინის თავმჯდომარეობით, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გასწიოს თავმჯდომარის არჩევნების დროს.

---

ლობაში განვითარების გზას ადგა.

ფრიად საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ სცხოვრებდა დასაწყისში ადამიანი, რითი იკვებებოდა, რა იარაღით იგერებდა მხეცებს და სადა სცხოვრებდა.

ლუკრეტი თავისს თხზულებაში „De rerum natura" ამბობს: ძველის ადამიანის იარაღი იყო ხელი, კბილები, ბრჭყალები, ქვები, ხის ტოტები და შემდეგ, როცა ცეცხლი შემოვიდა ხმარებაში, ანთებული მუგუზალი.

რამდენსამე ხნის შემდეგ ადამიანმა აღმოაჩინა რკინა და სპილენძი. სპილენძით უფრო ადრე დაიწყეს სარგებლობა, რადგანაც უფრო ადვილი საშოვნელი და შესამუშავებელია. კაცობრიობა თავისის ცხოვრებით განიყოფება სამს უმთავრეს ჯგუფად: პირველ ჯგუფს შეადგენს ველურნი ხალხნი, რომელნიც აქა იქ ზოგან დარჩენილნი და დასაწყისში ხომ მთელმა კაცობრიობამ გამოიარა ეს პირველი ხანა ცხოვრებისა. ველურნი ხალხნი თავიანთის გონებრივ და სულიერ განვითარებით დიდათ არ განირჩევიან პირუტყვთაგან, სცხოვრებენ ტყე-ღრეში არ იციან მიწის შემუშავება, პირუტყვთა მოშინაურება, იკვებებიან სხვა-და-სხვა მცენარითა და იმ ნადირით, რომლის დაჭერაც ადვილად შეუძლიანთ. ამიტომ ველური ხალხნი განსაკუთრებით სცხოვრობენ იმ ადგილებში, სადაც მუდმივი სითბოა და მთელი წელიწადი ჰყვავის მცენარე; სცხოვრებენ პატარ-პატარა ჯგუფებად და როდესაც შემოაკლდებათ საზრდო, სხვაგან გადადიან.

საჭირო იარაღებს აკეთებენ ქვისაგან, რკინის ხმარება არ იციან.

როდესაც ველური ხალხი იმდენად განვითარდება, რომ მიწის მოვლას მიჰყობს ხელს, მაშინ იმის ცხოვრებაში დგება ახალი ხანა—ბარბაროსული; ხალხი, ქვის მაგიერ, თან და თან იწყებს რკინის ხმარებას და მეტი სულიერი სიმაღლე ეტყობა.

კულტურული ცხოვრება ხალხს ეწყება მაშინ, როდესაც შემოდის წერა. იწერება ისტორია, კანონები მეცნიერება, წარსული უკავშირდება მომავალს და ამ გვარად ხალხის ცხოვრება წარმოადგენს ერთს განუწყვეტელს ჯაჭვს. კაცობრიობამ, ვიმეორებთ, ეს სამი ხანა გამოიარა ვისაც უნდა შეიგნოს კაცობრიობის განვითარების ისტორია, უნდა შეისწავლოს ეხლანდელ ბრაზილიის ველურ ხალხთა ცხოვრება, ახალ ზელანდიის ბარბაროსულ ტომთა ისტორია და აწმყო ევროპიელის კულტურული სიდიადე.

მაშასადამე, სჩან, რომ იქ, სადაც ეხლა განათლებული ევროპიელი სცხოვრებს ოდესღაც უცხოვრია ველურ ადამიანს, ეს ასეა! მთელმა კაცობრიობამ ქვეყანაზედ განვლო ერთ გვარი საფეხურები სულიერისა და გონებრივის განვითარებისა. ამის დამამტკიცებელია კაცობრიობის დღევანდელი მდგომარეობა: ბრაზილიის ველური ხალხი ერთის მხრივ და მეორეს მხრივ-კი ევროპიელი. მათ შორის უნდა მოთავსდნენ მრავალნი სხვა-და-სხვა ერნი, რომელნიც ერთი მეორესაგან განირჩევიან თავიანთის სულიერის ძლიერებით. ანთროპოლოგია კაცობრიობის კულტურულ ისტორიას ჰყოფს სამ ხანად: ქვის ხანა, ბრინჯაოს და რკინის ხანა. ამ ხანათა სახელები წარმოსდგა იქიდგან, თუ რაგვარ იარაღსა ჰხმარობდა კაცობრიობა ყოველ ხანის განმავლობაში. ამიტომ, როდესაც მეცნიერი-არხეოლოგი რომელსამე ადგილს აღმოაჩენს მიწაში ქვის ნაჯახს, ან სხვა რომელსამე იარაღს, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იმ ადგილას ოდესღაც ქვის ხანის ველურ ხალხს უცხოვრია.

ზოგიერთნი ჰფიქრობდნენ, აღმოსავლეთის ძველ ცივილიზაციის ადგილებში ადამიანი არასოდეს არა ყოფილა ველურ მდგომარეობაში, არ გამოუვლია ქვის ხანაო, მაგრამ მეცნიერულმა გამოკვლევამ სულ სხვა გვიჩვენა: ეგვიპტესა, ასირიასა და პალესტინაში აღმოაჩინეს მიწაში ჩამარხული ქვის სხვა-და-სხვა იარაღები. ამგვარი ქვის იარაღები მეცნიერებამ აღმოაჩინა ევროპის სხვა-და-სხვა ადგილასაც. ამითი კიდევ უფრო მტკიცდება, რომ კაცობრიობას ერთი საერთო შთამომავლობა აქვს და ყველგან ერთ-მსგავსი განვითარება გამოუვლია.

ქვის იარაღთან ერთად მიწაში აღმოაჩინეს ძვლები ცხოველის მამონტისა, რომლის ნასახიც შემდეგ სრულიად გაჰქრა დედამიწაზედ. როდის იყო ეს ხანა, შეუძლებელია ამისი თქმა: ზოგი გეოლოგი ამბობს, რომ 20,000 წლის წინადაო, ზოგი—100,000 წინად. თუმცა დამტკიცებულია ადამიანის არსებობა მამონტის დროს, მაგრამ შორიდგან წარმოდგენაც-კი შეუძლებელია იმ ხანისა, როდესაც ადამიანი გაჩნდა პირველად ქვეყნად. გეოლოგია სიცოცხლის გაჩენას დედამიწაზედ მილლიონ წლობით აღრიცხავს. ადამიანი-კი შედარებით უფრო ნორჩია, მაგრამ ის ხანა, რომელსაც ჩვენ ისტორიას ვეძახით, მხოლოდ ერთ უმცირესს ნაწილს შეადგენს კაცობრიობის ცხოვრებისას.

ექიმი ბადრიძე

## დამაკვირდი

უკვლა რომ მხნედი უოფილიყო, მსოფლიოს მონობა აღარ ეცოდინებოდა.

ლასურიძე

* * *

საწადელ იყავ სოფლისა ამას შინა და ნუ საშინელ: რომლისაგან ეკველთა ეშინის, მას ეკველთაგანვე ეშინის.

საეკლ. მუზ. № 153

* * *

ცნობილი და ბრძენი ესე არს, რომელმან წყრომისა ჟამსა თავი შეინახოს და წყრომა მისი მისსა სიბრძნესა არა მოერიოს.

ფილოსოფ. პლატონ

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

უმდიდრესი კაცი მთელ დედა-მიწის ზურგზედ ნიუ-იორკში სცხოვრობს. ამ მდიდრის გვარი ჩვენ მკითხველებს უკვე გაუგონიათ—ჯონ როკფელლერი. როკფელლერი უთუოდ მალე ბილლიონერი შეიქნება, რადგანაც ჯერ დღესვე ბილლიონის მესამედის პატრონია; ხოლო იმის სიმდიდრე საათობით იზრდება. როკფელლერს იმაზედ მეტი აქვს, რაც ასტორს, ვანდერბილდს და ჰულდს ერთად. სახელგანთქმული კრეზი როკფელერთან შედარებით მთხოვარაა. წელიწადში როკფელლერს 40 მილიონი მანეთი აქვს შემოსავალი, თვეში—3,333,332 მანეთი, დღეში— 111,110 მანეთი—საათში—4432. პირველად როკფელლერი უბრალო ბუჰალტერი იყო და თვეში 50 მან. ჰქონდა ჯამაგირი, დღეს-კი ჩინეთის იმპერატორზედ მდიდარია.

* * *

მოგეხსენებათ ზაფხულობით ყინულს დიდი გასავალი აქვს. პარიჟს ზაფხულში ყოველ დღე მარტო ხელოვნურად მომზადებული ყინული სჭირდება 1,500-დგან 2000 ტონამდე *). ამ ბოლოს დროს ძალიან გავრცელდა ყინულის ხელოვნურად მომზადება. სულ ორმოცი წელიწადია, რაც ყინულის ხელოვნურად მომზადება მოიგონეს. პირველი ყინულის მოსამზადებელი მანქანა 1862 წელს ლონდონის მსოფლიო გამოფენაზედ იყო გამოტანილი.

* * *

ნიუ-იორკში არსებობს ესრედ-წოდებული „კლუბი ცამეტთა“. ეს კლუბი დაარსებულია იმ ცრუ-მორწმუნეობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ ცამეტი ცუდი რიცხვიაო. ამ კლუბში ყოველ თვის ცამეტში იმართება ხოლმე ნადიმი. დიდს დარბაზში აწყობენ 13 სტოლს და თვითვეულ სტოლთან ცამეტ-ცამეტი კაცი ჯდება პურის-საჭმელად. დარბაზში განათლებულია ცამეტის ჭაღით. თითო ჭაღში ცამეტ-ცამეტი სანთელია. კლუბის სალფეტკებზედ დახატულია კუბოები. ნადიმი ყოველთვის საღამოს 8 საათსა და 13 წუთზედ იწყება ხოლმე.

ნიუ-იორკში არის ერთი ქუჩა, რომელსაც სახელად 13 ავენიუ ჰქვია. ამას წინად ამ ქუჩის სახლის-პატრონთ საჩივარი შეუტანიათ ქალაქის გამგეობაში და გამოუცხადებიათ, რომ, რადგანაც ქუჩას 13 ავენიუ ჰქვიან, აღარავინ გვეკარება და ჩვენს სახლებში აღარავინ დგება. ამიტომ გთხოვთ სახელი გამოუცვალოთ ჩვენ ქუჩას და დაარქვათ $12^1/_2$ ავენიუო. ამ წინადადებას გამგეობის რამდენიმე წევრიც მიმხრობია, მაგრამ იმათ განზრახვას წინააღდგომია ზემოხსენებულ „ცამეტთა კლუბის“ თავმჯდომარე ვინმე გამილტონი. გამილტონს რამდენიმე წერილი დაუბეჭდია, რომლებშიაც ამტკიცებდა თურმე, რომ მაგ ქუჩის სახელის გამოცვლა ყოვლად შეუძლებელიაო. ამას გარდა „ცამეტთა კლუბს“ დაუდგენია, პეტიცია მიართვას ქალაქის თვით-მმართველობას და სთხოვოს ქუჩას სახელი არ გამოუცვალონ.

*) ტონი დაახლოვებით 70 ფუთი იქმნება.

* * *

შეერთებულ შტატების მცხოვრებმა, ვილაც გარრი მორისონმა, როცა 20 წლისა შეიქნა, გარდასწყვიტა უგროშ-კაპიკოდ გამგზავრებულიყო ევროპაში, წარსდგომოდა იქ მეფეებს და შემდეგ ყოველივე ეს გაზეთებში აეწერა. ის მოსამსახურედ დადგა ერთ გემზედ და პირველად ინგლისისაკენ გაემართა, სადაც დიდის გაჭირვების შემდეგ ინახულა დედოფალი ვიქტორია. მასუკან ის ბრიუსელში მივიდა, სადაც მეფე ლეოპოლდს წარუდგა; იყო შვეიცარიაშიაც, სადაც ის შვეიცარიის კავშირის პრეზიდენტმა მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ ის მივიდა ჰამბურგში, სადაც გერმანიის იმპერატორთან საუბარი ჰქონდა, ბოლოს პარიჟშიაც იყო და საფრანგეთის პრეზიდენტი ინახულა.

* * *

ერთს ნიუ-იორკის მცხოვრებს, სოლომონ ლევენსონს, ამას წინად მკურნალებმა დასნეულებული ფეხი მოსჭრეს და რადგან ის ერთის ნემეცთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წევრად ითვლებოდა, რომელიც თავისს წევრთ 200 მანეთს აძლევდა დასამარხავად, მან განუცხადა ამ საზოგადოებას: რადგან ჩემი ფეხი ჩემის სხეულის ნაწილს შეადგენს, ამის გამო მე გთხოვთ მომცეთ შემწეობა ფეხის დასამარხადაო. საზოგადოებამ მოლაპარაკების შემდეგ შეიწყნარა ამ კაცის თხოვნა და შემწეობად მისცა მას 50 დოლლარი, სწორედ იმდენი ფული, რამდენიც ეძლევათ წევრთ ბალღის დასამარხად. სოლომონ ლევენსონმა უბრძანა მსახურთ მისი ფეხის შემურვა წამლებით და, როგორც-კი შემწეობა მიიღო, მოიწვია აუარებელი სტუმრები და დიდის ამბით დაასაფლავა თავისი საყვარელი ფეხი.

## ხალხური ლექსები

(გაგონილი და ჩაწერილი ს. ბაზალეთში დ. ა. მოლოდინაშვილის მიერ.

თუშები თბთურში *) იდგნენ
იქ დაეყენათ ცხვარია,
თანაც ღვინო ბევრი ესვათ,
მათი მწყემსები მთვრალია.
ისე არიან დალალულები,
ზოგი წევს, როგორც მკვდარია.
ამ სოფლად ჩამოსულიყო
შვიდი ბელადის ჯარია,
ბელადი ჰგზავნის კაცებსა:
მწყემსებს მოგვივლეთ თვალია...
ამ ამოსაწყვეტს ლეკებსა
დაურეკნიათ ცხორია...
ღვინით დამთვრალსა თუშებსა.
ერთს აღარა აქვს გონია.
დადგა თოფების ტრყშიალი,
ღამეც თოფების ბოლია
შორს ეყურებათ მწყემსებსა:
—სად გაიმართა ომია!
გიორგიმ უთხრა გიგასა:
—ძმაო, წაიღეს ცხორია!
—ნუ გამალვიძებ, ჩემო ძმავ,
მე ეგ ხუმრობა მგონია!
—თუ ბიჭობას არ ვიხმარებთ,
განა უბრალო ჭორია,
არ გვიტირებენ ქალები,
არც დედა, აღარც ცოლია!..
მიუძღვით ჩვენი ქერები,
მომდის ეჟვნების ჩქამია;
თან მისდევს ჩვენი ძაღლები,
გადაატარეს მთანია.
უნდა გავსარჯოთ, ჩემო ძმავ,
აქ დავიხოცოთ თავია,
ამოვიყაროთ, გენაცვლე,
წყეულ ლეკების ჯავრია!..
ჩამოექანა გიორგი,
გაანახევრა ჯარია.
გიგას რომ თოფი მიარტყეს,
გიორგის მოსწყდა მხარია.
—ვაიმე, ძმაო გიორგი!
რა ქინქლლიანი ღამეა,
შენ მაინც კარგად გაჰსარჯე
შენი თოფი და ხმალი!..
გიორგი შემოტრიალდა,
სამოცს მოსწყვიტა თავია:
ოცი შესწირა გიგასა,
—იყავით მაგის ყმანია!
ორმოცი თავისს თავს მისცა:
—იქ მომიტანეთ წყალია!
ათ-ათი მწყემსებს შესწირა
—აბრუნებინეთ ცხვარია,
ჩვენ ჩვენი ცხვრისთვის ვილევით,
ვაჰ, მწყემსნო, თქვენი ბრალია!
თქვენი დედ-მამის ცოდვითა
ყელამდინ მოვიყარია.
წადით, შეკაზმეთ ცხენები,
თქვენ მაინც გაასწარია...
ძალზედ სტირიან მწყემსები,
ცრემლი ჩამოსდით ცხარია.
არ დაუჯერეს მწყემსებმა:
— ჩვენც დაგვეთმობა თავია,
ჩვენაც იქ დავიხოცებით,
სადაცა გიგა მკვდარია.
აღარ შავხედავთ ჩვენც მზესა,
აღარც ჩვენ გვინდა მთვარია!..
გიორგიმ თავის ლურჯასა
ყელზედ დაჰკიდა ხმალია,
გადაჰკრა ჭრელი მათრახი,
შინ ჯალაბს მიუტანია.
გიორგის ცხენს ვინ დაიჭერს,
თუნდა დაეცეს ჯარია.
ალაზნის პირზედ იარა,
თუშებში მიუტანია.
დედამ დაიწყო ტირილი:
— ჩემი გიორგი მკვდარია!..
ცოლმა ცხვირ-პირი იკაწრა
ლამის მოიკლას თავია.
. . . . . . . . .

*) თუშების სოფელია.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ივლისი.

**პარიჟი.** „Figaro“ აცხადებს ფრეიშტეტერისა და ლეპინის ჩვენებას, რომლის ზოგიერთი ადგილები დაბეჭდილი იყო, როცა „Figaro“-ში dossier იბეჭდებოდა. ფრეიშტეტერი ამბობს, რომ დრეიფუსის დანაშაულობა დავიჯერე იმიტომ, რომ ანრის დამტკიცებამ—დრეიფუსი სიმპატიას ვერ აგრძნობინებს კაცსო, ასეთი შთაბეჭდილება იქონია ჩემზეო. ანრის ჩვენებამო,—სთქვა მან შემდეგ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო. ლეპინმა ილაპარაკა, რომ ჩემმა გამოძიებამ დრეიფუსის ჩვეულებათა შესახებ გამოარკვია, რომ დრეიფუსი ქალალდის მოთამაშე არ ყოფილა; წხადია, აქ სახელები გადაურიეს ერთი მეორეს, და ვერ დამტკიცდა, რომ ქალებთან ჰქონოდეს მას დამოკიდებულებაო.

**მადრიდი.** უმაღლესმა სამხედრო სასამართლომ დაიწყო საქმის გარჩევა სანტ-იგოს გადაცემის შესახებ. არავითარი ინციდენტი არ მომხდარა.

20 ივლისი.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტები:

1) მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის სახელობაზე.

2) შინაგან საქმეთა მინისტრის სახელობაზე:

„სამწუხარო ამბის მიღების დღითგან ჩემის საყვარლის ძმის, მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის ღვთივ განსვენების შესახებ, მე და ჩემს უავგუსტოეს მშობელს იმპერიის ყველა წოდებისგან გრძნობით აღსავსე სამძიმრიბი მოგვდიოდა განგებისგან მოვლინებულ განსაცდელის გამო. დიდს მწუხარებაში, რომელსაც მე ვგრძნობ, ჩემთვის სასიამოვნოა, როცა ვხედავ გულწრფელ თანაგრძნობას, რომელსაც მიცხადებენ ჩემი ქვეშევრდომნი. ღრმად ნანუგეშებს ასეთის თანაგრძნობით, მომინდვია თქვენთვის გარდასცეთ იმპერიის ყველა წოდებას ჩემი გულითადი მადლობა და გამოუცხადოთ მათ, რამდენათ ძვირფასია ჩემთვის მათი თავდადება ჩემთვის და მთელი ჩემი სახლობისათვის“.

„ნიკოლოოზი“.

მემკვიდრე ხელმწიფე და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე ინიშნება მე-93 მისი იმპერატორებითი უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის ირკუტსკის ქვეითა პოლკის შეფად, რომელსაც ამის იქით უნდა ეწოდოს მისი იმპერატორებითი უმაღლესობის მემკვიდრე ხელმწიფის მიხეილ ალექსანდრეს ძის მე-93 ირკუტსკის ქვეითა პოლკი.

**ბელგრადი.** როგორც ოფიციალურს წრეებში ამტკიცებენ, სერბიის ელჩი გრუიჩი დაბარებულ იქმნა მისის წერილის გამო, რომელშიაც ის ჰკვირობს, რომ სერბიის ხალხი სულგრძელებას არ ჰკარგავს ეხლა, როცა ასეთი მდგომარეობაა სერბიაში, და ეს არ ეთანხმება მის გმირულს ისტორიასო. რადგანაც გრუიჩს და არც ფინანსთა მინისტრად ნამყოფს ვუიჩს მონაწილეობა არ მიუღიათ შეთქმულობაში. ისინი აღარ შეუწუხებიათ. ისინი ორივენი საზღვარ გარეთ წავიდნენ.

## წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუძღვნი ქვემორე აღნიშნულ პირთ, რომელთაც წიგნებით თუ ფულად დახმარება აღმოუჩინეს ბაღდათის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს. სია შემწირველთა:

იოსებ ლეჟავამ—82 ცალი საყმაწვილო წიგნაკი ღირებული—6 მანეთად, იოსებ იმედაშვილმა—6 ცალი ქართული წიგნი, ღირებული 90 კაპ., იასონ მოსესძე გორგოძემ—გოგოლის თხზულებანი მშვენიერი ყდით, ორის წლის „კვალის“ ნომერები ყდით და 10 ცალი ქართული წიგნები, ღირებულნი სულ—30 მანეთად, ინსტრუქტორმა ერმილე ჩხატარაიშვილმა—25 ცალი ქართული წიგნი, ღირებული—4 მანეთად. მან. განმა—8 ცალი ეპოზის არაკები —40 კაპ., ალექსანდრა მაიაკოვსკისამ—1 მან., ვლადიმერ მაიკოვსკიმ 1 მან., იასონ გორგოძემ—2 მ., ერმილე დვალიშვილმა—1 მ., ანა შარაშიძისამ—50 კ., ამბერკი ბურჯანაძემ—1 მ., ბიქტორ ყიფიანმა—1 მ., პარმენ ბურჯანაძემ—1 მ., ლუკა ბურჯანიძემ—3 მ., ანთიმოზ ჯავახიამ—50 კაპ., ვარდენ საყვარელიძემ—1 მ., ალათი მეძმარიაშვილისამ—1 მ., ერმილე ჩხატარაიშვილმა 1 მ. 50 კ., ლევანტი ლოფსიანიძემ—50 კ., ბესარიონ ჩხეიძემ—1 მ., ევგენი კოპაძემ—1 მ., რაჟდენ მემანიშვილმა—50 კ., ალექსანდრე ჩიქვინიძემ —20 კაპ.

მადლობის ღირსია ერმილე დვალიშვილი, რომელმაც უსასყიდლოდ იკისრა ბიბლიოთეკის მოვლა ერთის წლით.

სამკითხველოს მმართველი ვარლამ ბურჯანაძე.

## შემოწირულება

ჩვენ მივიღეთ ცხეთის სვეტის ტხოვლის ტაძრის განსაახლებელ თანხის სასარგებლოდ იოსებ ლეჟავასაგან შეგროვილი 72 მ. 40 კაპ. ეს ფული შემოსწირეს: ილია ხარაევმა 10 მ., ნიკოლოოზ მაისურაძემ 10 მ., აბრამ ტურიევმა 5 მ., № № 5 მან., ესტატე კერესელიძემ 5 მ., სპირიდონ ლოსაბერიძემ 5 მ., პავლე ყუშიტაშვილმა 5 მან., მიხეილ მაისურაძემ 5 მან.; ლიზა ფირალოვისამ 3 მან., გარსევან რატიანმა 2 მ., გალუსტ არუთინოვმა 2 მ., გეურქ ჩილინგაროვმა 2 მ., მნაცაკან ოსეფოვმა 2 მან., გიგო მაისურაძემ 1 მ., კარაპეტ ავაქიანცმა 1 მ., თეკლე ივანოვისამ 1 მ., გერასიმე წვერენოვმა 1 მან., № № 1 მ., № № 1 მ., ბაგრატ არშაკუნმა 1 მან., ზაქარია ასლამაზოვმა 1 მ., სანდრო წვერენოვმა 1 მ., გიგო ლომინოვმა 1 მ., გიორგი თუთბერიძემ 1 მ. და დურგალმა კარაპეტამ 40 კაპ.


# განცხადებანი

გამგეობა ამიერ-კავკასიის რკინის გზისა აცხადებს საყოველთაოდ, რომ, რადგანაც მატარებლები № 1 და 2 სავსეა ხოლმე შორეულ სადგურებზედ მიმავალ მგზავრებით, ამიტომ ამა წლის 15 ივლისიდგან ახალ განკარგულებამდე ამ მატარებლებზედ მგზავრობა და აგრეთვე ბარგის გაგზავნა მახლობელ სადგურამდე, დაწყებული ავჭალის სადგურიდგან გორამდე, მოისპობა.

ყველა მგზავრები, რომელნიც ტფილისიდგან მახლობელ სადგურებში მიდიან გორამდე, უნდა წავიდნენ მატარებლებით №№ 7 და 8, რომელნიც იმ აზრით არის შემოღებული, რომ მატარებლები №№ 1 და 2 მეტად არ გაივსოს ხოლმე ხალხით.

(7—7)

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მააბრეშუმეთა ზარკელ ამხანაგობისა ისყიდება ქუთაისში—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; ყვირილაში—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; ბათუმში—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); სამტრედიაში—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. ქუხში—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

ნ. წერეთელი

(50—6.—7)

პეტერბურგის სამკურნალო გამგეობის ნება-დართვით ისყიდება პროვიზორის შიხინოვისაგან გამოგონილი

ახალი მარგებელი სასმელი ყავა

ტფილისსა, გორსა, განჯასა, გუმბრსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ფოთსა და სხვა ქალაქების ყველა საუკეთესო მაღაზიებში. (10—6.—7)


Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Іюля 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.